DEMOGRAPHICS, ECONOMICS AND SOCIAL POLICY IN THE CONDITIONS OF THE LABOR MARKET INTERNATIONALIZATION

თინათინ ზალდასტანიშვილი, ფილოსოფიის დოქტორი,
ახალი უმაღლესი სასწავლებელი,
აფილირებული ასოცირებული პროფესორი
თბილისი, საქართველო

DOI: https://doi.org/10.30525/978-9934-26-036-0-25

შრომის ეთიკისა და რელიგიის მიმართების საკითხი

შეუძლებელია შრომის ეთიკას და რელიგიასა შორის ურთიერთმიმართების გააზრება მისი რომელიმე ერთ განზომილებაზე დაყვანის გზით. თემის გახილვისას რელიგიის ცნება გამოიყენება ძალზე ფართო გაგებით. პრობლემისადმი ინტერესი იზრდება, რაც გამოწვეულია თანამედროვე სამყაროში მზარდი ეთნიკური და რელიგიური განსხვავებებით, სოციალური და ეკონომიკური ცვლილებებით, რელიგიისსადმი დამიკიდებულების განახლება შესაძლებელია მხოლოდ არსებული რეალობის (მაგ.,გლობალიზაციის) პირობებში ამ უკანასკნელის ბუნების გათვალისწინებით და ახალი გამოცდილების დაგროვების საფუძველზე. დღეს ადამიანის ცხოვრება ერთ მთლიან სისტემაშია ჩართული, იგულისხმება – ტექნოლოგიები, კომუნიკაციის საშუალებები, სატრანსპორტო კავშირები.

რელიგიისა და შრომის ეთიკის ურთიერთმიმართების კვლევის სფეროში არსებითია ემპირიული მასალის სისტემატური და ობიექტური მოპოვება, შეფასება და სინთეზირება შესაბამისი დასკვნების გამოტანის მიზნით.

სოციოლოგების მიერ რელიგიასა და შრომის ტიპს შორის ურთიერმიმართების განსაზღვრისას მნიშვნელოვანია `იმის გაცნობიერება, რომ დასაქმებულებს აქვთ საკუთარი სულიერი სამყარო, რომელსაც ეფუძნება მათი ქცევა და შესაბამისად ქმედება, რომელიც ნასაზრდოებია საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი სამუშაოს კონტექსტით. შრომის ეთიკასა და რელიგიის ურთიერთმიმართების საკითხის უკან იმალება განსხვავებული პრობლემების მთელი მასივი.

რელიგიის სოციოლოგიაში დაისვა საკითხები, რომელთაგან თითოეულის ანალიზს სჭირდება ემპირიული მონაცემები: მართლა აქვს ადგილი რელიგიურობის კლებას? თუ რელიგია კარგავს თავის ყოფილ მნიშვნელობას საზოგადოებისათვის და გავლენას საზოგადოებაზე, მაშინ რა შეიძლება იყოს ამ პროცესის საბოლოო შედეგი – რელიგიისაგან თავისუფალი საზოგადოება? იქნებ არსებობს ახალი რელიგიის დაბადების პერსპექტივა, როდესაც ძველი ღმერთები წავლენ (მოკვდებიან) და მათ ადგილს ახალი ღმერთები დაიკავებენ, რომლებსაც ჩვენ ჯერ არ ვიცნობთ? ან იქნებ რელიგიური აღორძინება მისცემს შესაძლებლობას ათასობით წლებგამოვლილ და დღესაც დომინირებად რელიგიებს კვლავ გააგრძელონ თავიანთი ისტორია? მაშინ მომავალში გვექნება ახალი ქრისტიანული, ისლამური და ბუდისტური საზოგადოებები. ახალი იმიტომ, რომ თვით საზოგადოება იცვლება კარდინალურად და ცვლილებების ტემპებიც განუხრელად იზრდება. თვით რელიგიაზე უშუალოდ ზემოქმედებს ცვლილებები მეცნიერებაში, მორალში, პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეკონომიკაში. საკითხი რელიგიის მომავალზე – კაცობრიობის მომავალზე კითხვის ერთ-ერთი ასპექტია.

ოგიუსტ კონტი ამტკიცებდა, რომ რელიგია ბოლოს და ბოლოს განიდევნება და მას მეცნიერება ჩაენაცვლება. ეს იდეა

პოზიტივიზმის ავტორიტეტისა და გავლენის წყალობით შეაღწევს საზოგადოებრივ ცნობიერებაში, ამ პერიოდის ბუნებათმეცნიერების დიდი ნაწილი იზიარებდა ამ შეხედულებას, მათ შორისაა ფიზიკოსი და მათემატიკოსი ერნსტ მახი, ფილოსოფოსი და ლოგიკოსი ბ.რასელი, პოზიტიური სოციოლოგიის მრავალი წარმომადგენელი. მოღვაწეობის ბოლო პერიოდში კონტი მაინც დაეჭვდა, რომ მეცნიერებას ძალუძს შეცვალოს რელიგია. როგორც სოციოლოგისათვის, მისთვის ნათელია რელიგიის სოციალური ფუნქცია: საზოგადოებას აუცილებლად სჭირდება იდეალი, რომელიც გაუღვიძებს ალტრუიზმს, თავგანწირვას, დიდსულოვნებას. ამიტომ შესთავაზა კონტმა საზოგადოებას ქრისტიანობის ნაცვლად ახალი, «რაციონალური რელიგია», რაც შეესაბამებოდა კაცობრიობის ისტორიის პოზიტიური სტადიის ხასიათსა და მოთხოვნებს, რომლის სახე და ბედი მეცნიერებითაა გაპირობებული. ეს რელიგია საფუძველშივე მორალი აღმოჩნდა.

მაქს ვებერს ვარაუდით, თანამედროვე სამყაროში ტექნოლოგიებისა და ბიუროკრატიის ბატონობა ზღუდავს ადამიანს, განსაზღვრავს მის ცნობიერებას პრაგმატული ინტერესებით, სასარგებლოსა და კომფორტზე ზრუნვით, ხოლო საბოლოო ჯამში ქმნის მთლიანად და ზედმეტად «ორგანიზებულ» საზოგადოებას, სადაც ყველაფერი დაგეგმილია და განსაზოგადოებულია, იქმნება რაღაც «რკინის გალიის» მსგავსი რეალობა. ვებერს აშინებს ასეთ სამყაროში ადამიანის ვნებების, წარმოსახვის, პოეტური გენის, სილამაზისადმი სიყვარულის, გმირული ვნებებისა და რელიგიური განცდების ჩაქრობის, გაქრობის პერსპექტივა.

თანამედროვე საზოგადოებისა და მისი შემდგომი განვითარების ტენდენციის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია სოციალური და სულიერი ცხოვრების

რაციონალიზაციის პროცესი, რაც დაკავშირებულია განვითარებასთან, საზოგადოების დემოკრატიზაციასთან და მეცნიერულ რაციონალიზმთან. ეს პროცესი ვებერს აღწერილი აქვს, როგორც «სამყაროს ჯადოქრულობის კლება» (სხვები ამას ეძახიან «სეკულარიზაციას», საზოგადოების ,,დესაკრალიზაციას''). ამ ათასწლეულის დასაწყისში არსებული ვითარება ორ ფაქტს წამოწევს: რაციონალიზმის ზრდა და ტრადიციების შენარჩუნება ან, მეტიც, ტრადიციული კონფესიების გავლენის ზრდა დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში. ნიშნავს კი ეს, რომ რელიგიის დაცემის პროგნოზის საწინააღმდეგოდ, ტრადიციული რელიგიები მართლაც შეთავსებადი აღმოჩნდნენ თანამედროვე შეცვლილ საზოგადოებასთან?

რელიგია მართლაც აგრძელებს არსებობას, მაგრამ წინანდელთან შედარებით განსხვავებული სახით და აქ დამნაშავეა ყოვლად ძლიერი რაციონალიზმი. მთავარია, რომ ის თავსდება თანამედროვე ტიპის საზოგადოებაში, მის სისტემაში, როგორც ცხოვრების კერძო სფერო, ის აქ უკვე აღარ არის ცენტრალური ინსტიტუტი, რომელიც აყალიბებდა «ზოგად უნივერსუმს», ანიჭებდა სოციალურ ცხოვრებას საყოველთაო საზრისს.

რელიგია განსაკუთრებული ფენომენია და ამა თუ იმ ფორმით მას ყოველთვის ექნება ადგილი ადამიანის ცხოვრებაში. დურკემმა თავის დროზე განაცხადა, რომ რელიგიაში არის რაღაც მარადიული.

ლიტერატურა:

1. გაბიძაშვილი, ო. რელიგიათმცოდნეობა, თბ., 2008.
2. კაჭკაჭიშვილი, ი. მატარაძე, თ. ნიჟარაძე, გ.შუბითიძე, გ. შრომის კულტურა და რელიგიური დისკურსი საქართველოს სხვადასხვა თემში, თბ., 2013.
3. მენი, ალ. მსოფლიო სულიერი კულტურა, თბ., 2012.

4. XXXIV Международная мультидисциплинарная конференция «Актуальные проблемы науки XXI века» Проводимой под эгидой международной исследовательской организации «Cognitio», «An Effective Managing Strategy for Human Resources Of XXI Century In The Leading Companies», электронный и печатный сборник, ОТЧЕТ/статья (сертификат), Россия, Москва, 30 июня 2018 года (А. Шамугиа).

5. Auguste Comte: Stanford Encyclopaedia of Philosophy.

6. Weber, Max 1905/2010. The Protestant Ethic and The Spirit of Capitalism. Penguin classics, New York, NY: Simon Shuster.

7. Giacalone, A. Robert and Jurkiewicz, L. Carole 2005. From Advocacy to science: The next steps in workplace spirituality and research. In: Handbook of Psychology of Religion and Spirituality. New York.